

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული საბოლოო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საათობრივი ხარჯის გამოთვლის (პროფილირების) მეთოდი

1. მოქმედების სფერო და მიზანი.

- 1.1. მოხმარებული ელექტროენერჯის საათობრივი ხარჯის გამოთვლის მეთოდი (შემდგომში - პროფილირების მეთოდი) გამოიყენება სს ენერგო პრო-ჯორჯიას (შემდგომში - განაწილების ოპერატორი) მიერ მის ქსელზე მიერთებული საბოლოო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საათობრივი ხარჯის გამოთვლის მიზნით.
- 1.2. პროფილირების მეთოდის მიზანია განისაზღვროს დატვირთვის საათობრივი პროფილების შექმნის და მისი საშუალებით ელექტროენერჯის საათობრივი ხარჯის განსაზღვრის წესი.

2. ტერმინების განმარტება

2.1. პროფილირების მეთოდში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) დარიცხული ელექტროენერჯია - ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებელზე (ელექტროსადგური, გაჩერების პერიოდში) თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯია,
- ბ) დარიცხვის ჩვენება - მომხმარებელზე თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის მიზნით განაწილების ოპერატორის მიერ აღებული მრიცხველის ჩვენება,
- გ) საათობრივი აღრიცხვის მრიცხველი - მომხმარებლის საანგარიშსწორებო მრიცხველი, რომლის შემთხვევაშიც დარიცხული ელექტროენერჯია ესკაა სისტემაში სრულად არის აღრიცხული საათობრივად,
- დ) თვითრი აღრიცხვის მრიცხველი - მომხმარებლის საანგარიშსწორებო მრიცხველი, რომელიც არ არის საათობრივი აღრიცხვის მრიცხველი,
- ე) საჯარო მიმწოდებელი - მიმწოდებელი, რომელიც ასრულებს საჯარო ვალდებულების სახით დაკისრებულ ვალდებულებას (უნივერსალური, საჯარო და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი),
- ვ) საბითუმო მოხმარება - საბოლოო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია, რომელსაც მომხმარებელი ყიდულობს საბითუმო ბაზარზე,
- ზ) დატვირთვის პროფილი - თვეში შემავალი თითოეული საათის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის პროცენტული თანაფარდობა თვეში ჯამურად მოხმარებულ ელექტროენერჯის რაოდენობასთან,

2.2. წესებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში და მის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტებში.

3. დატვირთვის პროფილის შედგენა

3.1. საანგარიშო თვის დატვირთვის პროფილს ადგენს განაწილების ოპერატორი საანგარიშო თვის შემდეგი თვის დასაწყისში შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$P_n = (A_n - (A_n * D) - B_n - C_n) / (A - (A * D) - B - C) * 100$$

სადაც:

P_n - n საათში მოხმარებული ელექტროენერჯის პროცენტული წილი თვის განმავლობაში მოხმარებულ ელექტროენერჯისთან მიმართებაში,

A - გამანაწილებელ ქსელში მიღებული გასანაწილებელი ელექტროენერჯია, ქსელური დანაკარგების ჩათვლით (თვის ჯამი - A , საათობრივი - A_n),

B - საბითუმო მომხმარებლისა და თავისუფალი მიმწოდებლების საცალო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ოდენობა (მიღებას გაკლებული გაცემა), რომელიც აღირიცხება საათობრივი აღრიცხვის მრიცხველებით (ჯამური - B , საათობრივი - B_n),

C - სხვა გამანაწილებელს ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯია (ჯამური - C , საათობრივი - C_n),

D - საანგარიშო თვეში გამანაწილებელ ქსელში არსებული დანაკარგის პროცენტული მნიშვნელობა.

4. დატვირთვის პროფილების გამოყენებით საათობრივი ხარჯების გამოთვლა

4.1. დატვირთვის პროფილის გამოყენებით განაწილების ოპერატორი ახორციელებს შემდეგი კატეგორიის მრიცხველებით აღრიცხული ელექტროენერჯის გამოთვლას:

- ა) თვიური აღრიცხვის მრიცხველების საშუალებით აღრიცხული საბითუმო მოხმარება,
- ბ) თავისუფალი მიმწოდებლის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია, რომელიც აღირიცხულია თვიური აღრიცხვის მრიცხველებით,
- გ) საჯარო მიმწოდებლის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია მიუხედავად იმისა ელექტროენერჯია აღრიცხულია საათობრივი თუ თვიური აღრიცხვის მრიცხველებით.

4.2. საანგარიშო თვეში დარიცხული ელექტროენერჯის პროფილირებას განაწილების ოპერატორი ახორციელებს საანგარიშოს მომდევნო თვეში საანგარიშო თვეში დარიცხული ელექტროენერჯის დატვირთვის პროფილის შესაბამისი საათის პროცენტულ მნიშვნელობაზე გამრავლების გზით.